ეროვნული ბიბლიოთეკა

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

| 1931 წლის მაისის 15. | № 9 განყოფილება პირველი | ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული. |
|---|---|---|

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

### დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუხ. 118. სომხეთის სსრ-სა და ნახიჩევანის ავტონომიურ სსრ-ში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დახმარებისა და დაქცეული რაიონების აღდგენის ღონისძიებათა შესახებ.

119. „მერქანის შეღავათიანი პირობებით და უსასყიდლოდ გაცემის მოწესრიგების თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 18-ის დადგენილების შესრულების შესახებ.

### დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

120. რაიონებში გადაყვანილი მომუშავეების საბინაო-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა უზრუნველყოფის შესახებ.

### დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

121. „საბამბე რაიონებში კავშირგაბმულობის თაობაზე“ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ გაცემული დირექტივების შესრულების მსვლელობის შესახებ.

122. სათბობი მასალის ეკონომიის თაობაზე სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ გაცემული 1931 წ. თებერვლის 22-ის დირექტივების შესრულების მსვლელობის შესახებ.

123. ანდეზიტის დამუშავების თაობაზე გაცემული სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დირექტივების შესრულების შესახებ.

124. სამრეწველო საქონლით, პურით და ფურაჟით საბამბე რაიონების მომარაგების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

### 118. სომხეთის სსრ-ისა და ნახიჩევანის ავტონომიურ სსრ-ში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დახმარებისა და დაქცეული რაიონების აღდგენის ღონისძიებათა შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. განთავისუფლებულ იქნეს 1931 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდისაგან ყველა ღარიბი და საშუალო მეურნეობა მიწისძვრისაგან დაზარალებულ აბრაკუნისისა, გერუსისა, კაფანისა, ორდუბათისა, სისიანისა და შახბუზის რაიონებში და მეღრის რაიონის ხუთ სოფელში.

2. გამოყოფილ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სარეზერვო ფონდიდან ერთი მილიონი მანეთი მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარებისათვის და სომხეთის სსრ-ისა და ნახიჩევანის ავტონომიური სსრ-ის დაქცეული რაიონებისა და სოფლების აღსადგენად საჭირო ღონისძიებათათვის.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—დაავალოს ამიერკავკასიის სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს მისცეს, არა უგვიანეს ა/წ. ივნისის 1-სა, მიწისძვრისაგან დაღუპული ოთხფეხი საქონლის პატრონთ სადამზღვეო საზღაური, რისთვისაც უნდა მოახდინოს ამ საქონლის აღნუსხვა; ეს სამუშაო ჩატარებულ იქნეს დაზარალებული რაიონების აღმდგენ რესპუბლიკანურ კომისიებთან ერთად.

4. მიენდოს ამიერკავკასიის წარმომადგენლობას—სასწრაფო წესით აღძრას სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე შუამდგომლობა, რათა მიწისძვრისაგან დაქცეული შენობები სადამზღვეო საზღაურის მიცემის სფეროში გათანაბრებულ იქნეს ცეცხლისაგან დაზარალებულ შენობებთან.

5. დაევალოს ამიერკავკასიის სპილენძის კომბინატს აღადგინოს 20 დღის ვადაზე მუშათა საცხოვრებლები კაფანის სპილენძის მაღაროების რაიონში.

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—მიაკუთვნოს ეს მშენებლობა სადამკვრელო მშენებლობათ საშენი მასალების მომარაგების მხრით.

ხელმძღვანელობის გაწევა საალმდგენო მუშაობისათვის დაეკისროს ამხ. ოსეფიანს.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გამოჰყოს სპეციალური ტყის ნაკვეთები, რათა ა/კ. ტყე-ქაღალდის ტრესტმა მისცეს ზანგეზურის ტყეებიდან 50.000 კუბომეტრი და ქურდისტანის ტყეებიდან—50.000 კუბომეტრი ხე-ტყის მასალა გერუსისა, კაფანისა და სისიანის რაიონებს, აგრეთვე გამოჰყოს სპეციალური ტყის ნაკვეთები ა/კსფსრ საერთო სატყეო ფონდიდან 50.000 კუბომეტრი ხე-ტყის მასალის ორდუბათის რაიონისათვის მისაცემად.

7. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დაავალოს ამიერკავკასიის ვაჭრობა-მომარაგების სამმართველოს—უზრუნველჰყოს მიწისძვრისაგან დაზარალებული რაიონები საალმდგენო სამუშაოთა წარმოებისათვის საჭირო ყველა შემოსაზიდი საშენი მასალით.

8. წინადადება მიეცეს სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის სამხარეო კონტორას—გამოჰყოს სპეციალური თანხები გრძელვადიანი სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ხაზით მიწისძვრისაგან დაზარალებულ სომხეთის სსრ-ისა და ნახიჩევანის ავტონომიური სსრ-ის რაიონებსა და სოფლებში საალმდგენო სამუშაოთა მიზნობრივი დაკრედიტებისათვის.

9. მიენდოს სომხეთის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ნახიჩევანის ავტონომიური სსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—მოახდინონ მიწისძვრისაგან მიყენებული ზარალის დაწვრილებითი და ზედმიწევნითი აღნუსხვა, ისეთი ვარაუდით, რომ ოცი დღის განმავლობაში დამზადებულ იქნეს დაზარალებული რაიონების აღდგენის გეგმა.

10. საალმდგენო სამუშაოთათვის გეგმაშეწონილი ხელმძღვანელობის გასაწევად—ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან მოეწყოს მიწისძვრისაგან დაზარალებული რაიონების აღდგენის ხელისშემწყობი კომიტეტი შემდეგი შედგენილობით: ამხანაგი მუსაბეკოვი (თავმჯდომარე), მახარაძე, ეგიაზარიანი, გ. სულთანოვი, ესაიანი, ფედკო, ერზინკიანი, ვედიბეკოვი, მაშკევიჩი და მგალობლიშვილი.

11. გაუქმებულ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 29-ის დადგენილებით მოწყობილი მთავრობისეული დროებითი კომისია მიწისძვრით დაზარალებულთა სასწრაფო დახმარების ორგანიზაციისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. მაისის 5.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 122 №-ში 1931 წ. მაისის 6-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**119.** **„მერქანის შეღავათიანი პირობებით და უსასყიდლოდ გაცემის მოწესრიგების თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 18-ის დადგენილების შესრულების შესახებ.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აღინიშნოს, რომ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა თავის დროზე არ მიიღეს ღონისძიებანი „მერქანის შეღავათიანი პირობებით და უსასყიდლოდ გაცემის მოწესრიგების შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 18 ის დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-19 №-ი, მუხ. 170) შესასრულებლად.

2. რადგანაც ის სახსარი, რაც უნდა მოხმარდეს საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მერქანის შეძენას და აგრეთვე შეღავათიანი პირობებით და უსასყიდლოდ მერქანის მიღების უფლების მქონე მოსახლეობის დაკრედიტებას, გათვალისწინებული არ არის არც სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტით, არც სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ხაზით, საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა მიმდინარე წელს ძალაში დარჩეს მერქანის უფასოდ და შეღავათით გაცემის წესი.

3. 1932 წელს მერქანის შეღავათით და უფასოდ გაცემის წესის გასაუქმებლად და ამის ნაცვლად ფულადი დაკრედიტების წესის შემოსაღებად:

ა) წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს — დაავალონ იმ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებს, რომელთა გამგებლობაშიაც ტყის მასსივებია, წარუდგინონ სათანადო რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებს, აგრეთვე მიენდოს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და გზათა სახალხო კომისარიატის ამიერკავკასიის სატყეო სარაიონო სამმართველოს (თვითეულს — მისი მოქმედების რაიონის მიხედვით) წარუდგინონ ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს განცხადებანი სახსარის მიცემის შესახებ, რაც საჭიროა მათთვის 1932 წელს მერქანის შეღავათით და უფასოდ მიღების უფლების მქონე მოსახლეობის დასაკრედიტებლად;

ბ) წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს გაითვალისწინონ საბიუჯეტო წესით იმ სახსარის გაცემა, რაც უნდა მოხმარდეს

როგორც საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მერქანის შეძენას, ისე მოსახლეობის დაკრედიტებას.

4. აღინიშნოს, რომ ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული არ არის ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული, 1930 წ. აგვისტოს 18-ის, დადგენილების მე-II მუხლის თანახმად გამოსაცემი ინსტრუქცია იმ წესის დადგენის შესახებ, რომლითაც განხორციელებულ უნდა ყოფილიყო სათანადო ფულადი სახსარით მერქანის შელავათით და უფასოდ გაცემის შეცვლა; ამის გამო დაევალოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს გამოსცეს აღნიშნული ინსტრუქცია არა უგვიანეს 1931 წ. ივლისის 1-სა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. მაისის 13.
ტფილისი.

---

## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**120. რაიონებში გადაყვანილი მომუშავეების საბინაო-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა უზრუნველყოფის შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. უფლება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს დაწესონ სარაიონო ცენტრებში საცხოვრებელი ფართობის სარგებლობის ნორმები, ხოლო ისე-კი, რომ საცხოვრებელი ფართობის ნორმა არ აღემატებოდეს 8 კვად. მეტრს თითო სულზე.

2. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს გაანთავისუფლონ ხოლმე ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებში საცხოვრებელი ფართობის ნაწილი არამშრომელი ელემენტების შემჭიდროებით, გადასახლებით და გამოსახლებით, აგრეთვე კერძო მფლობელობის სახლებში არამშრომელი ელემენტების შემჭიდროებით.

ამრიგად განთავისუფლებული ფართობი უნდა მიეცეს მარტოოდენ რაიონებში გადაყვანილ მომუშავეთ.

3. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის წესისამებრ განსაზღვრული ნორმის ზედმეტი საცხოვრებელი ფართობი შეიძლება ჩამორთმეულ იქნეს მხოლოდ რაიონებში გადაყვანილ მომუშავეთა ჩასასახლებლად.

პარლამენტის ბიბლიოთეკა

ზედმეტი ფართობის ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც ეს მოსახერხებელია დამოუკიდებელი საცხოვრებელი ფართობის სახით.

4. უფლება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—შემოიღონ სარაიონო ცენტრებში ისეთი სადგომების ბინის ქირის ნორმირება, რომლებიც უჭირავთ სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მომუშავეთ, ხოლო იმ ვარაუდით, რომ მათ მიერ დადგენილი ბინის ქირის განაკვეთები არ აღემატებოდეს ახლო მდებარე ქალაქისა თუ მუშებით დასახლებული ადგილის განაკვეთებს.

5. ამა დადგენილების 1, 3 და 4 მუხლების მოქმედება გავრცელებულ იქნეს ყველა ნაციონალიზებულ, მუნიციპალიზებულ და კერძო მფლობელობის სახლზე, გარდა იმ სახლებისა, რაც აგებულია, დაშენებულია და აღდგენილია აღნაგობის უფლების საფუძველზე.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—ცენტრალური კომუნალური ბანკის იმ კრედიტების განსაზღვრის დროს, რაც 1932 წელს წარმართულ იქნება აღმასრულებელი კომიტეტების ხაზით, მიიღონ მხედველობაში საბინაო მშენებლობის გაძლიერების აუცილებლობა სარაიონო ცენტრებში.

7. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს გამოჰყოს 1932 წ. ადგილობრივ ბიუჯეტში სპეციალური სახსარი საბინაო მშენებლობისათვის სარაიონო ცენტრებში.

8. რაიონებში გადაყვანილ მომუშავეთ, რომელთაც ყოფილ საოლქო ცენტრში ოჯახები დასტოვეს, შეენარჩუნებათ მათ მიერ გადაყვანამდე დაჭერილი საცხოვრებელი ფართობი ორი წლის განმავლობაში წასვლის დღიდან.

9. ყოფილ საოლქო ცენტრიდან რაიონში გადაყვანილ მომუშავეთა შვილები, სასწავლებლებში მიღების მხრით, გათანაბრებულ იქნენ მუშათა შვილებთან.

10. რაიონებში გადასული მომუშავეების ოჯახის იმ წევრებს, რომელთაც ამ გადასვლის გამო დასტოვეს სამუშაო, უკეთუ ისინი დარეგისტრებულ იქნებიან კადრების სამმართველოში ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, უფლება აქვთ უპირატესად იქნენ გაგზავნილი თავიანთი სპეციალობის სამუშაოზე.

11. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოებს გამოსცენ ინსტრუქცია ამა დადგენილების განხორციელებისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. მაისის 6.

**№ 370.**

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 146 №-ში 1931 წ. მაისის 30-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

**121.** **„საბამბე რაიონებში კავშირგაბმულობის თაობაზე“ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ გაცემული დირექტივების შესრულების მსვლელობის შესახებ.**

მოისმინა-რა ამიერკავკასიის კავშირგაბმულობის სამმართველოს წარმომადგენლის ამხ. ჩიხლაძისა, ამიერკავკასიის მებამბეობის საბჭოს წარმომადგენლის ამხ. მადუნცევისა, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლის ამხ. ყურულოვისა და ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლის ამხ. ყარაევის ცნობა „საბამბე რაიონებში კავშირგაბმულობის შესახებ“ ა/კსჳსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ გაცემული დირექტივების შესრულების მსვლელობის თაობაზე, აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. აღინიშნოს, რომ მთავრობისა და პარტიის დირექტივა საბამბე რაიონებში სატელეგრაფო, სატელეფონო და რადიო-კავშირგაბმულობის შესახებ ხორციელდება სრულიად არასაკმარისი ტემპით (კუტკაშენისა, აღჯაბედის, ყამარლუს და სხვა საბამბე რაიონები და 12 სამანქანო-სატრაქტორო სადგური უზრუნველყოფილი არ არის კავშირგაბმულობით).

2. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის კავშირგაბმულობის სამმართველოს იხმაროს რეალური ღონისძიებანი საბამბე რაიონების კავშირგაბმულობის გეგმის აღსრულებისათვის, გამოჰყოს პასუხისმგებელი აღმასრულებელნი და წარმოადგინოს აღსრულების შემმოწმებელ კომისიაში მაისის 15-თვის საბამბე რაიონების კავშირგაბმულობის მოსაწყობად საწარმოებელი სამუშაოების საკალენდრო გეგმა.

3. აღიძრას სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე საკითხი იმის შესახებ, რომ სსრკ-ის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატმა არ დააკმაყოფილა ამიერკავკასიის კავშირგაბმულობის სამმართველოს განცხადებანი საბამბე რაიონების კავშირგაბმულობის საქმისათვის გაწყობილობის მიწოდების შესახებ, თუმცა ეს განცხადებანი სსრკ-ის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატმა თავის დროზე დაამტკიცა.

4. მიენდოს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და ამიერკავკასიის კავშირგაბმულობის სამმართველოს ორი დეკადის ვადაზე მოაგვარონ

ეროვნული ბიბლიოთეკა



აპარატების რემონტი და კავშირგაბმულობისათვის საჭირო ინსტრუმენტების წარმოება, პირველ რიგში საბამბე რაიონებისათვის.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე ა. დოგადოვი.

აღსრულების შემმოწმებელი
კომისიის მდივანი თ. მელნიკოვი.

1931 წ. მაისის 9.

**№ 10.**

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 133 №-ში 1931 წ. მაისის 17-ს.

---

## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

**122.** **სათბობი მასალის ეკონომიის თაობაზე სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ გაცემული 1931 წ. თებერვლის 22-ის დირექტივების შესრულების მსვლელობის შესახებ.**

მოისმინა-რა ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლის ამხ. ყურულოვისა, ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის ამხ. ბელენკისა, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის ამხ. ბირიუშევისა და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის ამხ. გრიგორიანის ცნობა სათბობი მასალის ეკონომიის თაობაზე საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ გაცემული 1931 წ. თებერვლის 22-ის დირექტივების შესრულების მსვლელობის შესახებ, აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. აღინიშნოს, რომ ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ, ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატმა, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატმა იხმარეს მხოლოდ წინასწარი საორგანიზაციო ღონისძიებანი პარტიისა და მთავრობის მიერ სათბობი მასალის ეკონომიის თაობაზე გაცემული დირექტივის განსახორციელებლად, ხოლო არც ერთ აღნიშნულ ორგანოთაგანს არ აქვს აღნუსხვა სათბობი მასალის ფაქტიურად შემცირებული ხარჯვისა მათ უშუალო ქვემდებარე ამა თუ იმ საწარმოში.

2. წინადადება მიეცეს ამხანაგთ ყურულოვს, სვანიძეს და ვეზიროვს—დაადვან გადასახდელი იმ დამნაშავეთ, ვინც უგულვებლად მოეკიდა სათბობი მასალის მოთხოვნილებისა და ფაქტიური ეკონომიის აღნუსხვის დაყენების საქმეს პარტიის დირექტივის თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. წინადადება მიეცეს ამხანაგთ ყურულოვს, სვანიძეს და ვეზიროვს დაამყარონ სათბობი მასალის ეკონომიის შესახებ გაცემული პარტიის დირექტივის ფაქტიური აღსრულების ზედმიწევნითი აღნუსხვა და ერთი დეკადის ვადაზე მოახსენონ ეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი.**

აღსრულების შემმოწმებელი
კომისიის მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1931 წ. მაისის 9.

**№ 11.**

ტფილისი.

---

## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

**123. ანდეზიტის დამუშავების თაობაზე სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ გაცემული დირექტივის შესრულების შესახებ.**

მოისმინა-რა ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლის ამხ. ყურულოვისა, ანდეზიტის დამუშავების დირექტორის ამხ. სერედას, ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლის ამხ. ოჰანეზოვისა, ამიერკავკასიის სამთო-მადნო ტრესტის წარმომადგენლის ამხ. ქელიძისა, „ვსეხიმპრომ"-ის წარმომადგენლის ამხ. ვილანოვისა და ბრიგადის წარმომადგენლის ამხ. გოდაბრელიძის ცნობა ანდეზიტის დამუშავების თაობაზე მიღებული სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1931 წ. მარტის 24-ის დადგენილების შესრულების შესახებ, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. აღინიშნოს, რომ ზემოდ დასახელებული დადგენილება არ შეასრულეს ვადაზე ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ, „ზაკსტროიობედინენიე"-მ, სამთო-მადნო მრეწველობის მუშათა კავშირის ამიერკავკასიის სამხარეო გამგეობამ, ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველომ, ა/კსფსრ ისა და საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატებმა, რის გამოც აქამდე არ მომხდარა საგრძნობი გარდატეხა საანდეზიტო სამუშაოთა სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულების საქმეში.

2. აღინიშნოს ყოვლად შეუწყნარებელი მოპყრობა სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და სსრკ-ის მუშათა და გლეხთა ინსპექციის დადგენილებისადმი—საანდეზიტო სამუშაოების საჭირო გაწყობილობით, მასალით,

ინსტრუმენტებით და ავტოტრანსპორტით უზრუნველყოფის შესახებ, რის შედეგიც ის იყო, რომ საკავშირო შენაერთების უმეტესმა ნაწილმა ეს დადგენილება შეასრულა ნაწილობრივ და დიდის დაგვიანებით; საიმპორტო გაწყობილება, რაც მიღებული უნდა ყოფილიყო 1-ლ კვარტალში, აქამდე დაკვეთილი არ არის; აგრეთვე ეს დადგენილება არ შეასრულეს შენაერთებმა „ვომტ“-მა და „ავტორემსნაბ“-მა, სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მანქანათმშენებლობამ, „მეტიზ“-ის შენაერთმა და სხვ., რის გამოც სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულება ჩაშლის საფრთხეშია.

3. ეთხოვოს სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიას—მიაქციოს ყურადღება ზემოაღნიშნული შენაერთების შეუწყნარებელ მოპყრობას სადამკვრელო სამუშაოებად აღიარებულ საანდეზიტო სამუშაოების მომარაგების საქმისადმი.

4. მიენდოს ა/კსფსრ მუდმივ წარმომადგენლობას სსრკ-ის მთავრობასთან—იხმაროს გადამწყვეტი ღონისძიებანი სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დადგენილების სასწრაფო განხორციელებისათვის საანდეზიტო სამუშაოების საჭირო გაწყობილობით, მასალით, ინსტრუმენტებით და სხვ. უზრუნველყოფის სფეროში.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახლხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და ამიერკავკასიის სამთო-საქიმიო ტრესტს სასწრაფო წესით დააკომპლექტონ ანდეზიტის დამუშავების აპარატი და შეუფერებელი მომუშავეების ნაცვლად აიყვანონ უკეთესნი; ამასთანავე, დაუყოვნებლივ წარიგზავნოს გამოცდილი ინჟენერი ტეხნიკურ ხელმძღვანელად.

6. წინადადება მიეცეს ამხანაგთ ყურულოვს, ჭელიძეს და სერედას—იხმარონ გადამწყვეტი ღონისძიებანი ანდეზიტის დამუშავების საქმის მექანიზაციის სასწრაფოდ განხორციელებისათვის; აგრეთვე მოაწესრიგონ საკითხი სტანდარტების შესახებ, „ვსეხიმტრესტ“-თან შეთანხმებით, და საკითხი წმინდა ნათალი ანდეზიტის პროდუქციის გადიდების შესახებ.

7. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სამშენებლო შენაერთს, ამხ. ნოვიკოვის პირადი პასუხისმგებლობით, დააჩქაროს სამშენებლო სამუშაობის წარმოება და უზრუნველჰყოს თვითეული ობიექტის დამთავრება ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ დანიშნული ვადებისათვის.

8. მიღებულ იქნეს ცნობად ამხ. ერისთავის (ა/კ. კავშ.) განცხადება, რომ ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირის გამგეობამ დაადვა გადასახდელი კოოპერაციის მომუშავეთ ანდეზიტის სამუშაოებზე მორსაგიშვილს, სალაბეევს, თავაძეს და პურის დუქნის გამგეს დოგოევს.

9. წინადადება მიეცეს ამხ. ერისთავს (ა/კ. კავშ.)—ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირის მომუშავე ამხ. ბუისკი წარავლინოს ექვსი თვით ანდეზიტის დამუშავებაზე სამუშაოდ მუშათა მომარაგების და კვების საქმის მოგვარებისათვის.

10, მიღებულ იქნეს ცნობად ამხ. ლაქტიონოვის (სახ. ბანკი) განცხადება, რომ იგი უზრუნველჰყოფს ანდეზიტის წარმოებისათვის სამუშაო ხელფასის გაცემას ტფილისის ხაზით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



11. აღინიშნოს ამიერკავკასიის საკოლმეურნეო ცენტრის საყურადღებოდ, რომ შესრულებული არ არის პარტიის დირექტივა წარმოებაზე კოლმეურნეთა გასვლის მოწყობის შესახებ.

12. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციას—ცალკე გამოიკვლიოს საკითხი იმის თაობაზე, რომ ლანჩხუთის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი საზიზღრად მოექცა კოლექტიურ მეურნეობებიდან წარმოებაზე გასულ მუშათ.

13. საკითხი ბაკურიანის რაიონში ანდეზიტის დამუშავების შესახებ აღიძრას ცალკე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1931 წ. მაისის 9.
**№ 12.**
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 134 №-ში 1931 წ. მაისის 18-ს.

---

## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

### 124. სამრეწველო საქონლით, პურით და ფურაჟით საბამბე რაიონების მომარაგების შესახებ.

მოისმინა-რა ამიერკავკასიის მებამბეობის კომიტეტის წარმომადგენლის ამხ. კუზნეცოვისა და „სოიუზხლებ“-ის ამიერკავკასიის კონტორის წარმომადგენლის ამხ. მუხთაროვის ცნობა სამრეწველო საქონლით, პურით და ფურაჟით საბამბე რაიონების მომარაგების შესახებ, აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. მიღებულ იქნეს საყურადღებოდ, რომ, „პამბუკბირლიგი“-ს ცნობებით, 1931 წ. მარტის 3-თვის აზერბაიჯანის სამებამბეო კავშირების რაიონებში დარჩა 7.714 ტონნა პური და რომ, შემოტანილი პურის ჩათვლით, აზერბაიჯანმა საბამბე რაიონებისათვის მიიღო 11.909 ტონნა პური, მაშინ, როდესაც მოთხოვნილება 11.250 ტონნას უდრიდა.

2. წინადადება მიეცეს ამხ. მუხთაროვს („სოიუზხლებ“) და ამხ. ტოლსტოპიატოვს (ა/კ. მებამბეობის კომიტეტი) უშუალოდ დაადვან სადისციპლინო გადასახდელი „სოიუზხლებ“-ის ამიერკავკასიის კონტორის მომუშავეს ბელიანკინს და ამიერკავკასიის მებამბეობის კომიტეტის მომუშავეს სარაჯევს იმისათვის, რომ ისინი „ჩინოვნიკურად“ მოეკიდნენ მათთვის მინდობილ საქმეს და

-359



არავითარი ღონისძიება არ მიიღეს როგორც პურის თაობაზე წირდგენილი განცხადებისა, ისე ადგილებზე (რაიონებში) პურის ფაქტიურად ხარჯვის შესამოწმებლად და კონტროლის გასაწევად.

3. წინადადება მიეცეს საბამბე რაიონების აღმასრულებელ კომიტეტებსა და ბამბის ქარხნების დირექტორებს აცნობონ კომისიას მაისის 11-ს, ფაქტიურად რამდენია რაიონებში მაისის 10-თვის პური, ნაშთის ჩათვლით.

4. წინადადება მიეცეს ამხ. მუხთაროვს („სოიუზხლებ„) შეამოწმოს ერთი დეკადის ვადაზე „პამბუკბირლიგის" მიერ პურის ხარჯვა და შედეგები, აგრეთვე ის პირნი, ვინც დამნაშავენი არიან პურის ბედოვლათურად ხარჯვაში, აცნობოს აღსრულების შემმოწმებელ კომისიას.

5. მიღებულ იქნეს ცნობად ამხ. მუხთაროვის განცხადება, რომ მან მიიღო ღონისძიება საბამბე რაიონების საჭიროებათა ფურაჟით დაკმაყოფილებისათვის.

6. მიღებულ იქნეს ცნობად ამხ. კუზნეცოვის (ა/კ. მებ. კომ—ტი) და ამხ. ერისთავის (ა/კ. კავშ.) განცხადება, რომ საბამბე რაიონები სამრეწველო საქონლით, ხელთქონებული რესსურსების ფარგლებში, უზრუნველყოფილ არიან.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1931 წ. მაისის 9.

**№ 13.**

ტფილისი.

მთავლ. № 1609. საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა. ტირაჟი 1.400